KA021766954257020

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა
ტელ:(+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi,Georgia
Tel: (+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

N5/64316 25 / ნოემბერი / 2020 წ.

ა(ა)იპ სტუდია "ეიდისი"-ს
მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №76ბ

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში შემოსული თქვენი 04.11.2020 წლის N108694/07 წერილის პასუხად, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, გლდანულას დასახლება, კორპუსი N4-ის უკან არსებული N01.11.05.002.074.01.500 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 181.35 კვ.მ. ფართის გადაცემის საკითხს გაცნობებთ, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 13.11.2020 წლის N01/14335 წერილის გათვალისწინებით სააგენტოს მიზანშეწონილად არ მიაჩნია (წინააღმდეგია) განიხილოს დაინტერესებაში არსებული ფართის ა(ა)იპ სტუდია "ეიდისი"-სათვის გადაცემის საკითხი.

ასევე გაცნობებთ, რომ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, სახელმწიფო ქონების განკარგვის/სარგებლობაში გადაცემის საკითხთან დაკავშირებით მიმდინარე წარმოებისას გადაწყვეტილებას იღებს საჯარო და კერძო ინტერესთა პროპორციულობის პრინციპზე დაყრდნობით და პასუხისმგებელია სახელმწიფო ქონების რაციონალურ გამოყენებაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, დაინტერესების გამოხატვის შემთხვევაში, სააგენტო განიხილავს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვის/სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხს, ელექტრონული აუქციონის ფორმით.

აღნიშნული წერილი არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ დაპირებას, შესაბამისად არ წარმოშობს აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვალდებულებას.

დანართი: 1 ფურცელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარე

გიორგი დუგლაძე